№ 82

კვირა, 15 აპრილი, 1901 წ.

1877—1901

ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივერია

№ 82

კვირა, 15 აპრილი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათ დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

12 აპრილს, სოფ. ჯიხაისში, გარდაიცვალა ოდესის უნივერსიტეტის ლაბორანტი

სიმონ ბესარიონის ძე ლორთქიფანიძე.

მისი ამხანაგები სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ მობრძანდნენ კვირას, 15 აპრილს, შუადღის 12 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, სადაც გარდახდილ იქნება პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. (2—უ.—2)

ქართული თეატრი

კვირას, 15 აპრილს,

არტისტი-ქალი **ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა**

გამართავს წარმოდგენას ქ ნ მ. მ. საფაროვის მონაწილეობით.

წარმოდგენილი იქმნება

ხათაბალა

კომედ. 4 მოქ. და 5 სურ. თხზ. გ. სუნდუკიანცისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ ნნი საფაროვისა, გაბუნია ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, ნებიერიძისა; ბ ნნი აბაშიძე, გედევანოვი, სვიმონიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი სწორედ 8½ საათზედ.

სახალხო სეირნობა

საქველ-მოქმედო ბაზრითურთ.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ განზრახული სახალხო სეირნობა საქველ მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება 6 მაისს. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისთვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულ ჭავჭავაძესთან, ნიკოლოზის ქუჩა, № 21 და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

ბაქოში ქართველთა მიერ შემდგარმა ამხანაგობამ

„ივერიამ“,

რომელსაც საგნად აქვს ნავთის და ყოველ-გვარ მთა-მადნეულობის საქმის წარმოება,—უკვე აიღო იჯარით ნავთიანი მიწა სანავთო აგარაკ „საბუნჩაში“ და ამ მოკლე ხანში აპირებს შეუდგეს ნავთის საწარმოებელ მუშაობას.

ამასთანავე, საქმის გასადიდებლად და მკვიდრ ნიადაგზედ დასამყარებლად, ამხანაგობამ საჭიროდ სცნო ძირითადი თანხა გაადიდოს და, ამის გამო, გამოსცეს **დამატებითი** პაები, თითო პაი ას (100) მანეთად ღირებული.

გამგენი ამხანაგობისა, ვაუწყებთ-რა ზემოხსენებულს, უმორჩილესად ვთხოვთ, ვისაც დამატებითი პაის შეძენა ჰსურს, მოჰმართოს ამხანაგობას შემდეგის ადრესით:

Въ гор Баку. Князю Іосифу Іюлоновичу Дадіани. Въ контору торгово-промышленнаго товарищества „ИВЕРІЯ“, по Меркурьевской улицѣ, въ домѣ Арафелова.

ამავე ადრესით უნდა გამოიგზავნოს ფული.

გამგენი ამხანაგობისა, სამთო ინჟინერნი:
თ. ი. ი. დადიანი.
თ. დ. გ. ჯორჯაძე.
ბ. გ. ბრაილოვსკი.
(10—6.—9)

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

ტელეფონი № 741.

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т-во Фармацевтовъ—провизору Алхазову.

ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ „Фармацевтика“.

(100—43—10)

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი სთხოვს ტფილისის გუბერნიის იმ თავადთა და აზნაურთ, რომელთაც თავად-აზნაურთა კრებაზედ ხმის უფლება აქვთ, მობრძანდნენ 29 ამა აპრილს, შუადღის 12 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ მამულო ბანკის სადგომში თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაზედ.

კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

თავად-აზნაურთა ქონების გამგებლობის საქმე, სარევიზიო კომისიის მოხსენება თავად აზნაურთა ქონების გამგეობის მოქმედების შესახებ, ახალი დებულება თავად-აზნაურთა ქონების გამგებლობისა, თანამდებობის კაცთა არჩევანები, თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებელ წევრთა დასაფუძნებელ ფულის საქმე, დეპუტატთა საკრებულოს საქმის წარმოებისა და მოსამსახურეთა მდგომარეობის საქმე და ქართულ დრამატიულ საზოგადოების დავა ტფილისის გუბერ. თავად-აზნაურთა ქონების გამგეობას იან. (3—ნ.—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის ⁴. გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (გარანტოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეებს გარდა

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. ზატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ხ. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. გ. ბეზირგანოვი, შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, საქირურგო.—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. გეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

სალამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. გელოვოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაგანახიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. ზძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავად მყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

სალამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 საათ. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

გ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Ворoцову.

ახალი ამბავი

⁂ რადგანაც ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიის კედლები საშიშოთ დახეთქილია რამდენსამე ადგილას, და განზრახვა-კი ჰქონდათ ეკკლესია გაედიდებინათ, ამისთვის კომიტეტმა ხსენებულის ეკკლესიისამ მოიწვია მათი მეუფება მაღალ-ყოვლად-უსამღვდელლოესი ფლაბიანე, გამოჩენილნი ხუროთ-მოძღვარნი: ბუტკევიჩი, ტატიშჩევი, შინკევიჩი, რაგოისკი და ბილფელდი იმ მიზნით, რომ შეემოწმებინათ, შეიძლებოდა თუ არა ქვაშვეთის ეკკლესიას სიდიდე მოჰმატებოდა ისე, რომ დაზიანებული კედლები საშიში არ ყოფილიყვნენ. გასინჯვის შემდეგ ხსენებულმა ხუროთ-მოძღვრებმა ის დაასკვნეს, რომ ეკკლესიის კედლების ხელის ხლება საშიშოა, რადგანაც ძალზედ დაზიანებულია და ერთ ხმივ დაადგინეს დაინგრეს იგი და უკეთესის გეგმით ახალი ეკკლესია აშენდეს.

⁂ მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს თავად-აზნაურთა თეატრში ნიჭიერი არტისტი-ქალი გაბუნია-ცაგარლისა, ქართულის დასის არტისტების მონაწილეობით, გამართავს წარმოდგენას. ითამაშებენ ბ-ნ სუნდუკიანცის ოთხ მოქმედებიანს კომედიას „ხათაბალას“. იმედია, დამსახურებულ არტისტ-ქალს საზოგადოება პატივსა სცემს და მრავლად დაესწრება.

⁂ დღეს, 15 აპრილს, დილის 11 საათზედ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებისა, წიგნების გამომცემელთა და სტამბის პატრონთა კრება მოხდება მომავალ სამეურნეო გამოფენაში ბეჭდვითის სიტყვის პავილიონის გამართვის შესახებ მოსალაპარაკებლად. ამავე კრებაზედ მოწვეულია აგრეთვე ადგილობრივ ფოტოგრაფების პატრონები.

⁂ დღეს, 15 აპრილს, ყოვლად სამღვდელო კირიონი, გორის ეპისკოპოსი, მწირველი ბრძანდება ანჩის ხატის ტაძარში.

⁂ ტფილისის ქალაქის მესამე სესხის გასანაღდებლად ოთხშაბათს, 18 აპრილს, ქალაქის გამგეობას სხდომა ექმნება, რომელზედაც მიწვეულნი არიან სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების მმართველი, ტფილისის საკრედიტო საზოგადოებისა და საურთიერთო საკრედიტო ბანკის მმართველნი: ყორღანოვი და იოანესიანი, ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე თავ. ი. გ. ჭავჭავაძე, საბჭოს საფინანსო კომისია და ზოგიერთა ხმოსნები.

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობამ პარასკევს, 13 აპრილს, თავისს სხდომაზედ განიხილა შუამდგომლობა ლოტკის გორაზედ მართლ მადიდებელთა ეკკლესიისათვის ადგილის დათმობის შესახებ და ქალაქის საბჭოს ხმოსნის თავ. ბებუთოვის განცხადება, რომ ნაძალადევში სხვა სარწმუნოების მცხოვრებთათვისაც იქმნეს ადგილი აღნიშნული ეკკლესიების მოსათავსებლად და დაადგინა: დაეთმოს მართლ მადიდებელთა ეკკლესიისა და სკოლის შენობისათვის 1,200 ოთხ კუთ. საჟ. მიწა ლოტკის გორაზედ, დაევალოს ქალაქის მიწის-მზომელს შეადგინოს გეგმა ამ ადგილისა და აგრეთვე აღნიშნოს თავისუფალი ადგილი, სადაც სხვათა ეკკლესიებისათვისაც ადგილის დათმობა შესაძლებელი იქმნება. გამგეობამ მოიწონა ბებუთოვის განცხადება და გარდასწყვიტა ცნობები მოსთხოვოს სხვა სარწმუნოების სასულიერო მთავრობათ, თუ რამდენი ადგილი იქმნება საჭირო მათთვის, თუ ნაძალადევში ეკკლესიების აშენებას მოისურვებენ.

.*. ქალაქის გამგეობამ თავისს უკანასკნელს სხდომაზედ მუხრანიანთ ბორანის მოიჯარადრის ბუდალოვის განცხადება განიხილა, რომელიც თხოულობს, რომ მის მიერ ქალაქის გამგეობაში წარდგენილი გირაო 3,000 მანეთამდე შემცირებულ იქმნეს. ქალაქის გამგეობამ დაადგინა: დარჩენილი გარდასახადი ბორანზედ 1,833 მან. 33 კაპ. აღებულ იქნეს გირაოდგან და ამასთანავე წინადადება მიეცეს მოიჯარადრეს შეავსოს იგი; მიენდოს გამგეობის წევრს თავ. ჩერჩეზიშვილს წარუდგინოს ქალაქის გამგეობას ცნობები იმის შესახებ, თუ როდისთვის გაიხსნება ციციშვილის კლდეზედ გამართულ კიბეზედ ხალხისათვის თავისუფალი მიმოსვლა და ქალაქის საბჭოს წინაშე შუამდგომლობა აღძრას, რომ მოიჯარადრეს ბუდალოვს ქალაქის გამგეობაში წარდგენილი გირაო 3,000 მანეთამდე შეუმცირდეს.

.*. ამ დღეებში ტფილისის ქალაქის გამგეობაში გამგეობის წევრმა ბ-ნმა შესტაკოვმა განცხადება შეიტანა, რომ, რადგანაც, თანახმად უმართებულესის სენატის განმარტებისა (1900 წ. 6 ივნისი, № 7340) ორის კვირის ვადაა დადებული, რომ საგუბერნიო მმართველობამ ქალაქის ხარჯთ აღრიცხვა დაამტკიცოსო და საბჭოსაგან მოწონებული ტფილისის ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვა კი ეს რამდენიმე ხანია გუბერნატორთან წარდგენილია, მაგრამ აქამდე პასუხი არ არის მიღებულიო ამტკიცებს თუ არა მთელს ხარჯთ-აღრიცხვას, ჩემის აზრით, ჩვენი ხარჯთ-აღრიცხვა ძალაში შესულიაო. ბ-ნის შესტაკოვის ეს განცხადება ქალაქის გამგეობამ პარასკევს, 18 აპრილს განიხილა და დაადგინა, ეს მოსაზრებანი ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს წარუდგინოს და ამასთანავე სთხოვოს შეატყობინოს გამგეობას, ძალაში შესულადა სცნობს ქალაქის ამა წლის ხარჯთ აღრიცხვას თუ არა.

.*. განსაკუთრებულს კომისიას, ტფილისის გუბერნატორის თავჯდომარეობით შემდგარს, სასურველად უცვნია თამბაქოს პლანტაციებს თვალ ყური ადევნონ საზოგადო პოლიციამ, მაზრისა და სოფლის მკურნალებმა და აქციზის მოხელეებმა. ხოლო პლანტაციების მუშათა მდგომარეობის მოწეს-რიგების შესახებ კომისიას დაუდგენია, დაავალოს პლანტაციის პატრონებს: არ მიიღონ სამუშაოდ ბავშვები 15 წელზე ნაკლები; იქ, სადაც წმინდა წყალი არ მოიპოვება, იქონიონ მოდუღებული წყალი, მუშები არ დააძინონ იმ შენობაში, სადაც თამბაქო აწყვია; გააუმჯობესონ მუშათა საჭმელი და სხვანი.

.*. დღეს, 15 აპრილს, ტფილისის მე 3 კლასიკურ გიმნაზიაში სალიტერატურო-სამუსიკო დილა იქმნება გამართული, რომელზედაც გიმნაზიის უფროს კლასის ერთ-ერთი მოსწავლე წაიკითხავს საქართველოს რუსეთთან შეერთების მოკლე მიმოხილვას. ამას გარდა მოსწავლეთ საჩუქრებს დაურიგებენ.

.*. დღეს, 15 აპრილს, გორში გორის მაზრის მემამულეთა კრება მოხდება, რომელზედაც უნდა აირჩიონ გამგე-დირექტორი ვ. გ. მაჩაბლის ნაცვლად.

.*. 26 აპრილისათვის ქუთაისში დანიშნულია ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის ამოსარჩევად.

.*. მთავრობას 19,412 მ. 97 კ. გადაუდვია ცხინვალში ლიახვის ხიდისა და გორში მტკვრის რკინის ხიდის შესაკეთებლად.

.*. ტფილისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის სასარგებლოდ წლეულს მთავრობამ 9,800 მან. გადასდო.

.*. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულმა საბეითალო გამგეობამ გადასწყვიტა, რომ ამიერ-კავკასიაში საქონლის ჭირის მოსასპობლად ჭირიანი საქონელი უწინდელებრ დახოცილ იქმნას, ხოლო საეჭვოდ ავადმყოფ საქონელს აუცრან ნენცკის მიერ გამოკვლეულ წამლით. ამ საქმის გამო საბეითალო გამგეობა ჰგზავნის კავკასიაში ორს ბეითალს საჭირო ასაცრელ მასალებით.

.*. 12 აპრილს, კავკასიის სამკურნალო საზოგადოების მიერ არჩეულმა კომისიამ განიხილა ქალაქის წყლის მილის გამოკვლევის საქმე და დაადგინა: შემდეგს სხდომაზედ, რომელიც განზრახულია მომავალ კვირისათვის, საბოლოოდ გადასწყვიტოს ეს საქმე.

.*. გზათა მინისტრის განკარგულებით ამ ახლო ხანში ტფილისში რკინის გზის მატარებელთა მიმოსვლის უფროსების კრება მოხდება, რომელზედაც განხილულ იქმნება, სხვათა შორის, რუსეთის რკინის გზების წარმომადგენელთა საზოგადო კრებების რწმუნებულის საყურადღებო მოხსენება. ამ მოხსენებაში აღნიშნულია მგზავრთა უწესრიგო ქცევა ვაგონებში შესვლის დროს, ვაგონის შესავალში დგომა, ერთის ადგილიდგან მეორეში გადასვლა, უკვე მიმავალ მატარებელში ახტომა, ქალთა განყოფილებებში შესვლა, თამბაქოს წევა და სხვანი. შემდეგ ნათქვამია, რომ მატარებლის მოსამსახურეთ, კონდუქტორთ, უმეტეს შემთხვევაში არ ძალუძთ სრული წესიერება დაიცვან, მათ შეუძლიანთ მხოლოდ წეს-რიგის დამარღვეველნი ჟანდარმებს წარუდგინონ ოქმის შესადგენად. მაგრამ ჟანდარმებსაც არ შეუძლიანთ, თუ მატარებელი არ გაჩერდა, მგზავრთა სიმრავლისა გამო, ყველას ოქმი შეუდგინონ. ამისათვის საჭიროა, იმ შემთხვევაში, როცა ჟანდარმის მოსვლა შეუძლებელი იქმნება, თვითონ კონდუქტორებს მიეცეთ უფლება ოქმების შედგენისა, რომლითაც დამნაშავენი პასუხის გებაში იქმნებიან მიცემულნი.

.*. როგორც „კავ.“-ს დეპეშით ატყობინებენ, ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი ნიმანდერი ვარშავის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლად იქმნა გადაყვანილი. ლომჟის საკანტროლო პალატის უმცროსი რევიზორი იუშკევიჩი დანიშნულ იქმნა ტფილისის საკანტროლო პალატის უფროს რევიზორად.

.*. ფოსტა-ტელეგრაფის მოხელედ ნამყოფთა ქვრივები თითქმის ყოველ დღე სთხოვენ შემწეობას ფოსტა ტელეგრაფის ოლქის უფროსს, მაგრამ უფროსს ამ ჟამად საშუალება არა აქვს დააკმაყოფილოს მთხოვნელნი.

.*. ამ 1901 წლის სექტემბერში კავკასიაში სამხედრო ცხენების აღწერა მოხდება.

.*. ტფილისის ბრმათა სკოლას სასოფლო სამეურნეო გამოფენაში უფასოდ დაეთმობა ადგილი ბრმა ბავშვთა ნაწარმოების დასაწყობად.

.*. იმპერატრიცის მარიამ ალექსანდრეს ასულის ბრმათათვის სამზრუნველოს კავკასიის განყოფილება გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ 1901 წლის 1 მარტისათვის განყოფილების კასაში იყო 12,573 მან. 47 კაპ., მარტის განმავლობაში შემოვიდა 2,758 მან. 77 კაპ., სულ—15,331 მან. 24 კაპ., ამავე თვეს დაიხარჯა—2,893 მან. 32 კაპ., 1 აპრილისათვის დარჩა—12,437 მ. 92 კაპ. ამ ფულიდგან სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების კასაში შენახულია 421 მან. 16 კაპ., ტფილისის საკომერციო ბანკში—8,995 მ. 99 კაპ., ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში—2925 მან. 30 კაპ. და თვით განყოფილების კასაში—95 მან. 47 კაპ., სულ—12,437 მან. 92 კაპ.

განყოფილების თვალის სამკურნალოში მარტის განმავლობაში 615 ახალი ავადმყოფი იყო.

.*. შაბათს, 14 აპრილს, ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის პირველმა დეპარტამენტმა განიხილა საქმე ტფილისის მცხოვრების სოლომონ კუჭუხიძისა, რომელსაც თავს-დაცემით ქალის გაძარცვა ჰბრალდებოდა. ოლქის სასამართლოს კუჭუხიძე დამნაშავედ უცვნია და გარდაუწყვეტია ყოველივე პირად თუ მდგომარეობით მოპოვებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და 4 წლის ვადით კატორღაში გაგზავნა. სამოსამართლო პალატამ ოლქის სასამართლოს განაჩენი დაამტკიცა.

.*. ნავაგის სადგურიდგან გვატყობინებენ, რომ 12 აპრილს, მატარებლის № 212 წყლის სავსე ვაგონი—ცისტერნა მეორე ლიანდაგიდგან მესამეში გადავარდა და ძლიერ დაშავდა. მატარებელი შეჩერებულ იქმნა.

.*. შორაპნის სადგურიდგან გვატყობინებენ, რომ 13 აპრილს, რემონტის მუშას ალექსანდრე ჭუმბურიძეს მუშაობის დროს მარჯვენა ფეხი დაუჭრია.

◆◆

წერილი მეტეხიდგან

„ივერიის“ ერთს ნომერში ნათქვამი იყო, რომ მთავრობას უკვე შეუწყნარებია ახალ-ქალაქელების თხოვნა (გორის მაზრა) და დაუმტკიცებია, რომ ერობის ხარჯით გაკეთდეს ხიდი თეძამზედ და ახალი გზა გრაკლის სადგურისაკენ.

გრაკლის სადგურის გზა არსებობს გრაკლის სადგურის დაარსებიდგანვე და იგი არავითარს შეცვლას არა ჰსაჭიროებს; მაგრამ თუ თეძამზედ ხიდი გაკეთდა, მაშინ კი ახალ ქალაქიდგან ორს ვერსზედ გზამ უსათუოდ ადგილი უნდა იცვალოს და გადვიდეს აწინდელ ადგილიდგან რამდენისამე საჟენით ან დასავლეთისაკენ, ან აღმოსავლეთისაკენ. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ სად გაკეთდება ხიდი. ხიდი კი უნდა გაკეთდეს უსათუოდ ან შიგ ახალქალაქში, ან ახალქალაქიდგან ორის ვერსის სიშორეზედ, ეგრედ წოდებულ „ბადრიანთ კლდესთან“.

თუ ხიდი შიგ ახალქალაქში გაკეთდება, მაშინ გზა უნდა გადვიდეს აწინდელ ადგილიდგან და დასავლეთისაკენ, მარცხნივ, რამდენისამე საჟენით, გაიაროს ორი ვერსი და ბადრიაანთ კლდე ისევ ძველს გზას შეუერთდეს. ამ შემთხვევაში გაიჭრება რამდენისამე კერძო მეპატრონეს მამული და საჭირო იქნება გაკეთდეს რამდენიმე წვრილი ბოგირი. აქ მამულები ისე ძვირადა ფასობს, რომ არა მგონია პატრონებმა გულით დასთმონ მათი გაჭრა; ამასთანავე წვრილი ბოგირები, რომლებიც ახალს გზაზედ უნდა გაკეთდეს, ვგონებ, კვისტს არ გაუძლებიან ზემო-ხანდაკლებს, რომლების დაჩაშიაც იგინი უნდა მოჰყვნენ. პრაქტიკიდგან ვიცით, რომ სოფლის ბოგირების კოწიწება ძრიელ ძნელია და ბევრს გლეხს ასწვია მისთვის გვერდები. ამ მხრივ სხვანაირადაც შეიძლება უფრო მარჯვე გზის გაკეთება, მაგრამ გზის შენახვა ძალიან გაჭირდება და, ვგონებ, ადგილობრივნი მცხოვრებნი ვერ შესძლებენ. ამ მხრივ გზის შეცვლა, გარდა ახალქალაქისა, არავისთვის ულრესობას არ შეადგენს და მის მომხრეს უსათუოდ არად მიაჩნია მეტეხის საზოგადოება, რომელიც ათასკომლს აღემატება, რკინის გზის სადგურთან ახალქალაქზედ ნაკლები საქმე არა აქვს და ყოველ მხრივ ახალქალაქზე მეტად ჰსაჭიროებს ხიდში. ბადრიაანთ კლდესთან რომ ხიდი გაკეთდეს, მაშინ გზა აწინდელი ადგილიდგან

ფელეტონი

პატარა სიმღერები

(1898—1900 წლ.)

I

მგოსანს

ქვეყნის სურვილს ვინ მოუვლის?
ზოგს ის უნდა და ზოგს ესა:
ერთს ხუცესი მოსდის თვალში,
მისი ცოლი მეორესა;
მაშ, მგოსანო, ყურს ნუ უგდებ
სხვის ძაგება მოწონებას,
სთქვი, რაცა გსურს, გაუგონე
მხოლოდ შენს გულს და გონებას!

დუტუ მეგრელი

◆◆

მგზავრის წერილები რომიდგან.

I

„ვისაც უნახავს იტალია და განსაკუთრებით რომი, თავისს დღეში არ იქმნება სრულიად უბედურიო“, სწერდა გეტე ზეიდელთან. „ვინც სულელად წავა რომში, სულელადვე დაბრუნდება“, ამბობს ხალხი თავისს თქმულებაში.

ცალკე ადამიანი, თუნდ გენიოსიც იყოს, ყოველთვის წარმოსთქვამს თავისს მსჯელობას ადგილის, დროის და თავისის სულის მდგომარეობის გვარად; ხალხი-კი დიდის ხნის გამოცდილების შემდეგ ჰქმნის უბრალო და სადა ჭეშმარიტებას. როდესაც გეტე სწერდა ზემოდ აღნიშნულ სიტყვებს, იგი, როგორც პოეტი და მძებნელი აბსტრაქტიულ ფილოსოფიისა, აღტაცებული იყო ძველ რომაელების ნაშთებით და აღმადგენელ (renaissance) საუკუნის მოგონებით, რომლებმაც მას განუახლა და უფრო მკვიდრად ჩაუნერგა, რაც ჰქონდა შესწავლილი და წაკითხული კლასიკურ ცივილიზაციის შესახებ. ამისთვის გეტეს აზრი ადვილად მისახვედრი და გასაგებია. დღეს თუმცა რომმა ახალ ცხოვრების გავლენის ქვეშ მთლად იცვალა სახე და ფერი, მაგრამ მაინც რომაელების და აღმადგენელ საუკუნის დიდების უმთავრეს დასამტკიცებელ საბუთად დარჩა. რაც კი რამ იყო მშვენიერი და ავ-კარგი, გამოჩენილი და საშუალო, სადიდებელი და საკიცხი დასავლეთ ევროპის ხელოვნებაში, ისტორიასა და სარწმუნოებაში, ყველაფერმა დასტოვა კვალი ამ რომაელთა ქალაქში, რომელიც ბუდე იყო კეპრთა თაყვანის-მცემლებისა, შედგი ბიზანტიის ცივილიზაციისა, მომასწავებელი ქრისტიანობის დაწყებისა და ბრძოლის ასპარეზი განახლებისათვის საშუალო საუკუნეების დასაწყისში. რომი გახდა ის ადგილი, სადაც სასულიერო წოდების ძალამ უმაღლეს წერტილამდე მიაღწია, სადაც მოხდა განახლება ანუ აღორძინება სხვა ფორმათა შორის ძველის ხელოვნებისა მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე საუკუნეებში და სადაც ბოლოს დროს, მეცხრამეტე საუკუნეში, დაგვირგვინდა გამარჯვებით იტალიელების ეროვნული ბრძოლა ერთობისა და განთავისუფლებისათვის. ყოველმა ზემო-აღნიშნულმა მოვლენამ დაასვა თავისი განსაკუთრებული ბეჭედი რომის ნაშთებს, რომის ნაშენებს და გამოსახა თავისი საზოგადო ნაყოფი ამ ნაშთებშივე, რომელიც დღეს ამ ქალაქის სხვა-და-სხვა კუთხეში მრავლად იპოვება.

გაჰქრა რომი კერპი ანუ რომი ცეზარისა, შესუსტდა რომი ქრისტიანი ანუ რომი პაპისა, დრომ, პროგრესმა და ევოლიუციამ გადასწყვიტეს მათი ბედი და იღბალი და დღეს ამ გამქრალისა და წარსულის მაგიერ აღორძინდა ახალი სიცოცხლე, ახალი ცხოვრება—რომი შეიქმნა დედაქალაქი განთავისუფლებულ იტალიელ ერისა და გაუდგა ახალ ცივილიზაციის გზას სხვა სატახტო ქალაქებთან ერთად, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჯერჯერობით ბევრად ჩამორჩენილია მათგან.

როდესაც ადამიანს წინ უდევს რომელიმე წინად უნახავი ქალაქი, მისი პირველი სურვილი იქმნება გადაავლოს თვალი საერთო გარეგანს და მით დაიკმაყოფილოს სურვილი ცნობის მოყვარეობისა.

ჩვენც გადავხედოთ რომს წმინდა პეტრეს ტაძრის უმაღლეს წერტილიდგან, საიდგანაც რომი და მისი მიდამოები თვით გვაჩვენებენ თავისს წარსულს და აწმყოს. შორის ცის სისწვრივ მოსჩანს შავად ხმელთა შუა ზღვა, რომლის ზვირთები ეხლება საბერძნეთისა, ეგვიპტისა, სირიისა, პალესტინისა და აზიის ნაპირებს; იმ ნაპირებს, სადაც პომერმა გალექსა თავისი ნაწერები, სადაც დემოსფენმა გამოიჩინა თავისი მჭერმეტყველობა, სადაც პლატონმა და პითაგორმა გვიამბეს მსოფლიო ჰარმონიის ამბავი და საიდგანაც გადმოტანილი იყო რომში ამ ხმელთა-შუა ზღვისავე საშუალებით ძველი ცივილიზაცია და ქრისტიანობა. როდესაც თვალი ნელ ნელა უახლოვდება რომს, შავად გამოჩენილ ზღვის შემდეგ იშლება ორთქლით დაფარული რომის მიდამოები, რომელნიც წარმოადგენენ ერთს თვალისათვის მიუწვდომელ, ჰაობიან ბალახით და აქა-იქ დაფანტულ ნაძვის ხეებით დაფარულ ვაკეს. მთელ ამ ვაკის სივრცეზედ სოფლები სრულიად არ არის გაშენებული, სიცოცხლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენისამე საჟენით თეძამის მარჯვენა მხარეს გადავა: ახალქალაქიდგან ვრაკლის გზა თეძამის მარჯვენა ნაპირს ხაივლის ორის ვერსის სიშორეზედ, ბადრიაანთ კლდესთან გავა ხიდზედ და ისევ ძველს გზაზედ შედგება. აქეთ გზისათვის არც ერთი მული არ გაიპრება, არ იქნება საჭირო არც ერთი ბოგირი, და გზის გაკეთებაც ისე ადვილია ამ მხარეს, რომ ერთი პატარა სოფელიც კი შესძლებს ადვილად გაკეთებასა. ამასთანავე აქეთ გაცილებით მოხერხებული და სააღვილოა თვით ახალქალაქელებისათვის და განურჩევლად ყველასათვის, ვისაც რკინის გზის სადგურთან საქმე და მიმოსვლა ექნება. აქ ხიდით ისარგებლებს 500—600 კომლზედ მეტი ხალხი; მაშინკი, ხიდი რომ ახალქალაქში გაკეთდეს, 600 კომლი მეტეხის საზოგადოებისა, რომელსაც დიდი შრომა მიუღის აღნიშნულ გზისა და ხიდის გაკეთებაში, სრულიად უწინდებურად უხიდოთ დარჩება, თუმცა ესენი სხვაზედ მეტად ჰსაჭიროებენ ხიდს. და, სხვათა შორის, აი რათა: მეტეხის სამამასახლისო ათას კომლზედ მეტია; ნახევარი ამათგანი სცხოვრობს თეძამის ერთ მხარეზედ, ნახევარი მეორეზედ; ყოველ დღე ამათ ერთმანეთთან მიმოსვლა აქვთ და იძულებულნი არიან ღვინობისთვიდგან აპრილის გასვლამდე ყანულივით თეძამში ტოპონ. ამის გამო საზოგადოებაში ქარები და სხვა სენი ძალიან ხშირია და ყოველს წელს თეძამი რამდენსამე საცოდავს გლეხს უდროვოდ ისტუმრებს საიქიოს. მე სრულიადაც არ მინდა ვთქვა, ვითომც ახალქალაქელებისათვის ახალქალაქში არ იყოს საჭირო ხიდი. ახალქალაქელებისათვის მაგ ახალქალაქში დიდად საჭიროა ხიდი, მეტადრე იმ ახალქალაქელებისათვის, რომლებსაც თეძამის მარცხენა ნაპირზედ ვენახები აქვთ; მაგრამ ესენი, როგორც იქნება, იოლად წავლენ და მეტეხელები-კი ვერას გზით.

ამ საქმეს აჩქარება არ მოუხდება: მრავალნაირად აღებ დალება, აწონვა და გონივრულად ჩაფიქრება ეჭირვება. მდიდრულს ჩოხებში, კარტუზებში, პალტოებში და გახამებულს პერანგებში გამოწკეპილს გლეხებს საზოგადო საქმეში ცოტა დაეჯერებათ, მეტადრე მაშინ, თუ იგინი მოსულებათ ითვლებიან. თუ მართლაც ადგილობრივ მუშა ხალხის სარგებლობა ვისმე აქვს სახეში, თვითონ ამათ უნდა ეკითხოთ.

სოფლელი

კავკასიის მომავალი საიუბილეო სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა. *)

განყოფილება მე-X. მეთევზეობა და მონადირეობა.

ა) მეთევზეობა

ჯგუფი 1. იარაღი და ნივთები, რომლებსაც თევზაობის და თევზის მოშენების დროს ხმარობენ. მოდელები მეთევზეთა გემებისა.

ჯგუფი 2. თევზეულობა, როგორც ახალი, ისე დამარილებული: ცოცხალი თევზი, ხიზილალა, დოში და სხვა. ხიზილალა კოლოფებით უნდა გამოიგზავნოს, როგორც ბაზარში იყიდება. თევზი დაუპრელი.

ბ) მონადირეობა

ჯგუფი 3. იარაღი, ნადირობის დროს საჭირო: თოფი ყველა სისტემისა, ადგილობრივ, რუსეთსა და საზღვარ გარეთ დამზადებული; სანადირო იარაღი, რომელსაც ადგილობრივნი მცხოვრებნი ხმარობენ. სანადირო ტანისამოსი (წამლისა და საფანტის ჩასაწყობები, სანადირო დანა და სხვა). ნიმუშები თოფის წამლისა, საფანტისა და სხვა მასალისა.

ჯგუფი 4. იარაღი, რომელსაც ნადირისა და ფრინველის საჭერად ხმარობენ: ხაფანგები, ბადეები, მახეები, მოდელები სანადირო ორმოებისა და სხვა. ნივთები და მოწყობილებანი, რომლებსაც ნადირობის დროს ხმარობენ: ხის ფრინველები, ფრინველთა მოსატყუებლად და სხვა; გაშინაურებული მონადირე ფრინველები.

ჯგუფი 5. ფრინველთა და ნადირთა „ჩუჩელების" კოლექციები; რქების კოლექციები. ფოტოგრაფიული სურათები და სხვა.

ჯგუფი 6. ლიტერატურა და სტატისტიკური ცნობები ნადირობის შესახებ; ნადირობის წესები; ცხრილები, საიდგანაც შეიძლებოდეს გაგება, რა დროსაა აკრძალული ნადირობა და რა დროს ნება-დართულია.

ჯგუფი 7. სანადირო და სხვა ძაღლები.

განყოფილება მე-XI სამიწად-მოქმედო პრიბორები, იარაღი და მანქანები.

ჯგუფი 1. გუთნები მოწყობილეობით; ადგილობრივი გუთნები; გაუმჯობესებული. სახნისები: ადგილობრივი (აჩეჩა, ძიბირი, ოკოკა, არორი, კავი და სხვა) და გაუმჯობესებული.

ჯგუფი 2. იარაღი თესლის ჩასამარხად და ნიადაგის გასაქექად: ერქვანი, ფოცხი და სხვა. საფარცხავები: რკინისა და ხისა.

ჯგუფი 3. იარაღი, რომელიც საჭიროა მცენარეთა მოვლა-მოყვანის დროს; ამ დროსვე საჭირო ხელის იარაღი: ბარები, თოხები და სხვა. იარაღი, რომელიც საჭიროა სარწყავ კვლების გამართვის დროს.

ჯგუფი 4. სამკალი, სათიბი და მომკულისა და მოთიბულის მოსაკრები იარაღი და მანქანები; ცელები, ნამგლები, ფოცხები, ორთითები, ცხენის ფოცხები, პრესსები თივისა, მატყლისა, ბამბისა და სხვათათვის.

ჯგუფი 5. იარაღი, რომელსაც ლეწვისა და ხორბლის გაწმენდის დროს ხმარობენ: კევრები, ჯაჯარი და სხვა. საცრები, ნიჩბები, სანიავებლები და სხვანი. ყველა ესენი სხვა და სხვა სისტემისა უნდა გამოიგზავნოს.

ჯგუფი 6. ხორბლის დასაწმენდი და დასაფქვავი იარაღი; წისქვილის მოწყობილებანი.

ჯგუფი 7. ხორბლისა და ბზის გასახმობად და შესანახად საჭირო მოწყობილებანი: ორმოები, ყუთები, ტომრები, ბეღლები, სასიმინდეები, საბძლები და სხვა—ყველა ამათ მოდელები ან სწორეთ ისეთები, როგორიც სოფლებშია.

ჯგუფი 8 წყლის ექსპლოატაციისთვის საჭირო იარაღი და მოწყობილებანი: წყლის ამოსაღები თვლები, ტურბინები და სხვა. მოდელები, ან ისეთი, როგორიც ნამდვილად არსებობს.

ჯგუფი 9. ქარისა, წყლისა და ორთქლის მანქანები, რომლებსაც სოფლის მეურნეობაში ხმარობენ.

ჯგუფი 10. სამეურნეო ურმები, პოვოსკები და სხვანი. ის მოწყობილებანი, რომელიც საქონლით ტვირთის გადაზიდვის დროს არის საჭირო. საქონლის საკვების მოსამზადებლად საჭირო იარაღი და მოწყობილებანი: ჩალის საჭრელები და სხვა.

შენიშვნა. ამ განყოფილების ექსპონენტებად შეუძლიანთ იყვნენ რუსეთისა და საზღვარ-გარეთელი ფირმებიც.

(შემდეგი იქნება)

ქართული სამწერლო ენა *)

ჩვენის დროის მწერლობის ენა სრულიად ახალი მოვლენაა. ისტორია ამ ენისა იწყება გიორგი ერისთავის ნაწერებიდგან და ცვლილების გზას ადგა თითქმის შეურყევლად აქამდის. გიორგი ერისთავმა სალიტერატურო ენას ქობად დაუდო ქართლის კილო და ეს უკანასკნელი გამეფდა მწერლობაში, თუმცა ამ ახლო ხანებში მას გვერდით ამოუდგნენ და ეღვერს უცვლიან ფშავხევსურების და გურია-იმერეთის კილოები. ადვილად საგრძნობელია ის განსხვავება, რომელიც არსებობს დავით გურამიშვილისა და ილია ჭავჭავაძის პოეტურს ქმნილებაში ენის მხრივ. მაგრამ შესაძლოა, შეუმჩნევლად რჩებოდეს ის ცვლილება, რომელიც თვით ილ. ჭავჭავაძის ნაწერებს არ ასცდა. „კაცია ადამიანი" და „ოთარაანთ ქვრივი" დაშორებულნი ერთი-ერმანეთზედ 30 წლის დროთა განვლით, ენის მხრივ წარმოადგენენ საყურადღებო საგანს: „ოთარაანთ ქვრივი" მოწიფული ნაყოფია არა მხოლოდ უფრო ღრმად დაკვირვებისა და გამომეტყველი სტილისა, იგია აგრეთვე ძვირფასი მაგალითი ენის შემუშავებისა და ქართული კილოს მიხვრა-მოხვრის გამეფებისა. რუსიციზმები ამ მოთხრობაში სრულიად გადევნილია, „კაცი ადამიანში"-კი თითქმის პირველი გვერდიდგან („მოაჯირს ეკრა ზედ...მცირედი ფიცრული, რომელიც სასჯელშეგებისა ჭოთამაშობდა") და სასრულამდე გვდევნიან. ქართული სამწერლო ენის ცვლა ჩვენ თვალ წინ ხდება. ვაჟაფშაველამ ძმებითურთ და ალ. ყაზბეგმა შემოიტანეს ლიტერატურაში მთაში დარჩენილი სიტყვები და ფორმები. ამ ბოლო დროს გზა გაიკაფა მდაბიურმა ენამ იმერეთ-გურიის ცხოვრებიდან ამოღებულს მოთხრობებში. დავით კლდიაშვილი და ეგნატე ნინოშვილი წინამძღვარნი არიან ამ პროვინციალიზმის მწერლობაში დასამკვიდრებად. ნინოშვილის მოთხრობას, რომელიც ახლა „კვალში" იბეჭდება, ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს. განსვენებული მწერალი დიდის ნიჭით და სიმახვილით იცავს მდაბიურად ხმარებულს სიტყვებს და ფორმებს და ამით გვაძლევს ძვირფასს მასალას ჩვენი კილოების შესასწავლად. ლიტერატურული ენა ყველგან და ყოველთვის ხელოვნურად აშენებულია რომელიმე გავრცელებულს კილოზედ. რუსულს სალიტერატურო ენას საფუძვლად უდევს მოსკოვის კილო, ჩვენსას, როგორც ზევით მოვიხსენეთ, ქართლური კილო დაედო სათავედ და შემდეგ განვითარდა თანხმად თავის ბუნებისა და ოდნავ ნაძალადევადაც. კილოების შესწავლა და მათი შეტანა სალიტერატურო ენაში უნდა მოხდეს სიფრთხილით, მაგრამ აუცილებლად, რადგან მწერლობის განვითარება თხოულობს მის ენის და მდაბიო ენის დაახლოვებას. მეტადრე საბაასო ენაში სიცოცხლე და სინამდვილე ცხოვრებასთან განისაზღვრება კილოს შემოტანით. ამ აზრს საუცხოვოდ ასურათებს ზემოხსენებული მოთხრობა ნინოშვილისა „ცოლი და ქმარი". საერთოდ ამ 40 წლის განმავლობაში ქართული სამწერლო ენის ცვლილება საკმარისად ასაბუთებს უსაფუძვლობას იმ აზრისას, რომ ქართული ენა დროთა განმავლობაში არ შეიცვალა და „ვეფხის ტყაოსნის" ენა ახლაც სუყველასთვის ვითომც გასაგებია.

ა. ხახანაშვილი

რუსეთი

გზათა სამინისტროს ნება-რთვით, ამ სამინისტროსთან შესდგა განსაკუთრებული კომისია რკინის გზის მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ მოსალაპარაკებლად და ამ საქმის მოსაწყობად. კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულია სამინისტროს საბჭოს წევრი ს. ნ. ოსტრჟემბსკი. კომისიამ უნდა განიხილოს აგრეთვე ორი სხვა საკითხი: 1, რკინის გზებზედ ურთი-ერთ დამხმარებელ ამხანაგობათა და მომხმარებელ საზოგადოებათა დაარსების შესახებ და 2, კარგის მოღვაწეობისათვის მოსამსახურეთა დაჯილდოვების შესახებ.

— საერთო განათლების სამინისტრომ განმარტა ის, თუ რა წესით შეიძლება ქალთა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში წერისა და ხელ-საქმის მასწავლებლობის უფლების მოპოვება.

— მიწად-მოქმედების სამინისტროს აზრადა აქვს ქალაქ ტაშკენტში სასოფლო-სამეურნეო საგიდროტეხნიკო სასწავლებელი დააარსოს. ამ საქმის გამოსარკვევად ტაშკენტში სამინისტრო მოხელეს ჰგზავნის.

— ამა მიმდინარე წელს გამოცდანი მკურნალის წოდების მისაღებად მოხდება საიმპერატორო სამხედრო-სამკურნალო აკადემიაში ორჯელ: 19 აპრილიდგან 17 მაისამდე და 4 სექტემბრიდგან 6 ნოემბრამდე. აკადემიის სტუდენტებს გარდა ეგზამენი მკურნალობის მისაღებად შეუძლიანთ დაიჭირონ აგრეთვე უნივერსიტეტის სტუდენტებმა და სხვა სახელმწიფოში სწავლა-დამთავრებულთ, რომელთაც რუსეთის იმპერიაში მკურნალობა ჰსურთ.

— 8 აპრილს პეტერბურგში წლიური კრება ჰქონდა პალესტინის საიმპერატორო საზოგადოებას. კრებამ საზოგადოების საპატიო წევრად, სხვათა შორის, აარჩია საქართველოს ეგზარხოსი, მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე.

— ამას წინად გაზეთებმა ხმა გაავრცელეს, რომ საერთო განათლების სამინისტროს აზრადა აქვს ძირითადად შესცვალოს და სხვა რიგად გადააკეთოს ქალთა უმაღლესი სასწავლებელნი. ეხლა გაზეთი „Рус. Вѣд." სწერს, რომ ეს ხმა სიმართლეს მოკლებულია. მთავრობას ქალთა უმაღლეს სასწავლებლების გადაკეთების შესახებ ლაპარაკი სულაც არ აღუძრავს თურმე.

— როგორც „Промыш. Міръ"-ი იუწყება, მთავრობას აზრადა აქვს გააფართოს ებრაელთა ვაჭრობის უფლებანი, ფინანსთა სამინისტრო უკვე შესდგომია ამის პროექტის შემუშავებას.

უცხოეთი

ინგლის-ტრანსვაალის ომი.

როგორც ბოლონდელ ცნობებიდგანა სჩანს, დევეტს ამ ჟამად 3,000 მეო-

---

თქოს გამქრალია; ასე რომ საზოგადო გარეგნობა ამ მიდამოებისა გამოხატველია უცნაურ ერთგვარობისა, რომელშიაც არაფერია თვალსაჩინო, არც ერთი საგანი არ არის საყურადღებო, და ზედ დასტრიალებს გასაოცარი ბუღი, რომელშიაც ყველა არეულია, ყველა გამდნარია.

ამ მიდამოებს მოსდევს თვით რომი, რომელშიაც ჩრდილოეთიდგან სამხრეთისაკენ მიაქანებს ზვირთებს მდინარე ტიბრი და ქალაქს ორ ნაწილად ჰყოფს: ერთი მეოთხედი ქალაქისა იმყოფება მდინარე ტიბრის მარჯვნივ მხარეზედ და სამი მეოთხედი მარცხნივ მხარეზედ. ტიბრის მარჯვნივ მხარეზედ აშენებულია „ვატიკანი", ანუ პაპის სასახლე და წმიდა პეტრეს ტაძარი, რომელიც შეადგენს ყველაზედ უდიდესს ძეგლს ქრისტიანობისას; მარცხნივ მხარეზედ მდებარეობს ძველი რომი თავისის გამოჩენილ ადგილებით: კაპიტოლინოთი, პალატინოთი და ფორორომანოთი, ადგილით, სადაც იკრიბებოდა რომაელების სენატი. ძველს რომს არტყია გარს ლომბესავით ახალი რომი, რომელიც თავისის კოხტა მოწყობილებით, სისუფთავითა და მხიარულის ფერით ნამდვილ განახლებასა და სიცოცხლის აღორძინებას მოასწავებს.

„ძლიერ ადვილია სულისათვის გახდეს იმ ნაშთების დროისა, რომელსაც იგი უმზერსო", ამბობს ტიტ ლივი; დიახაც, რომ რომის მაყურებელს ეს ძველთა-ძველი ქალაქი ბევრს ისტორიულ მოვლენას აღუძრავს, ბევრს უწინდელ აზრს განუახლებს, მრავალს ახალსა და გაუგონარს ფაქტებს აღმოუჩენს, რომელთა რიცხვი, რამდენადაც მეტად დააკვირდება ამ ნაშთებს, იმდენად გაიზრდება. ყურადღება რომ მივაქციოთ მარტო ამ მშვენიერ ნაშთებს, ყოველფრის აღწერისათვის მთელის უშველებელი ტომის დაწერა დაგვჭირდებოდა, მაგრამ თუ მგზავრი სიცოცხლეს მარტო იმად მინიჭებულად არა სთვლის, რომ იცოცხლოს სუმბუქად, ადვილად და ტკბილად მშვენიერ ლაჟვარდ ცის ქვეშ, მაშინ იგი არ დაკმაყოფილდება მხოლოდ იმის მხრით, მოგონებითა და აღწერით, რაც მშვენიერია, მდიდარი ღ კარგი, იგი მოსძებნის და მოიგონებს იმასაც, რაც ცუდია, საწყალი, მახინჯი, თუნდ ამან ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვაც აგრძნობინოს. ამისათვის რომში მგზავრს არ შეუძლიან მარტო სიძველის მოგონებით დააკმაყოფილოს გული, რადგან ამ სიძველესთან ერთად არსებობს ყოველგან ადამიანის სიცოცხლე და მოძრაობა, მათი ჟივილ-ჭყივილი გაისმის ყოველ წამს ყურში. რომ ამ აწმყო სიცოცხლემ, ამ აწმყო ცხოვრებამ, როგორც ძლიერმა და ყურადღების შემპყრობელმა, არ შეუშალოს გონებას მოსაზრება წარსულისა, როგორც აწმყოს საშემდეგისო საჭირო სახელმძღვანელოსი, გადავიდეთ ზოგიერთ რომაელების ნანგრევებში, ანუ ნაშთებში, სადაც სამარებრივი სიჩუმე არ ართობს ყურადღებას და ფიქრს უმსუბუქებს გაშალოს თავისი მოსაზრებანი სიმართლის დასანახავად.

გიორგი ქეკანოზიშვილი.

---

*) იხ. „ივერია" № 80-

*) ვბეჭდავთ ამ წერილს, თუმცა ავტორის აზრს ზოგიერთს საგანზედ არ ვეთანხმებით. რედ.

მარი თურმე ჰყავს თანა და ორანჟეს რესპუბლიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით იმყოფება, ფრანკფურტის ჩრდილოეთით. რას აპირებს დეი ბოტა, ამის შესახებ ამ ბოლოს დროს არავითარი ცნობები არ არის. გენერალი დელარეი, რომელსაც ინგლისელები მაკლიის მთებში უპირებდნენ დაჭერასა (პრეტორიიდგან დასავლეთით იმყოფება), თავისი 1,500 კაცით ისევ მშვიდობიანად დაბრძანდება ამ მთებში და ინგლისელების საბარგო და სასურსათო ურმებს დრო-გამოშვებით თავისს ბანაკში უკრავს ხოლმე თავსა. სულ არ არის დიდი ხანი, „Hamburger Nachrichten"-ის ლონდონელი კორრესპონდენტი იუწყებოდა, რომ ბრიტანიის უმთავრესმა სამხედრო ბანაკმა ორი დატვირთული ურემი და თან ხლებული ხალხი უგზოუკვლოდ სადღაც დაკარგაო. ეჭვი არ არის, ეხლა ინგლისელები ისრე ურცხვად ვეღარ დაიქადნიან,—დელარეის სადაა დავიჭერთო.

— მოგეხსენებათ, ბ-ნებო, ალფრედ მილნერი ბურებს ძალიანა სძულთ და ბევრგან მხოლოდ მისის წყალობით გამწვავდა ინგლისელთა და ბურთა შორის მტრობა. ეს მოუსვენარი ადმინისტრატორი თვითონ ომის დროსაც არ ისვენებდა და ათასს მიზეზს აძლევდა ბურებს, რომ მშვიდობიანობა არ ჩამოვარდნილიყო და სხ. ინგლისის მთავრობამ შეიგნო ასეთი მავნებლობა მილნერისა და გადასწყვიტა ბურებისა და სხვა ადგილობრივ მცხოვრებთა დასამშვიდებლად იგი სამხრეთ-აფრიკიდგან გაიწვიოს, მაგრამ რომ ეს მილნერის დამცირებათ არავინ მიიღოს, გარდასწყვიტეს პოლიტიკა იხმარონ და განგებ გაავადმყოფებული მილნერი სამის თვით, ვითომ სამკურნალოდ, ინგლისში გაიწვიონ. ამის გამო „Figaro" სწერს:

„მილნერის სამხრეთ-აფრიკიდგან დაბრუნების შესახებ ლონდონში ამ ჟამად ერთობ ბევრს ლაპარაკობენ. რა საჭიროა, რომ სამის თვით მილნერს მოადგილეს უნიშნავენ, მაშინ როდესაც ადვილი შესაძლებელი იყო მისი თანამდებობა დროებით ან კიტჩენერისათვის დაევალებინათ, ან-და გამილდტის გუბერნატორისათვისა, კითხულობს ზოგიერთი განცვიფრებული? ვიდრემდის არ გამოქვეყნდება მილნერის მოადგილეთ ვის დანიშნავენ, იმ დრომდის შეუძლებელია გადაჭრილი რამ ითქვას, დაბრუნდება მილნერი უკან თუ არა. მაინც-კი უეჭველს შემთხვევაში მილნერის ავადმყოფობა მხოლოდ „პოლიტიკური" სენია, სხვა არაფერი. ძნელი დასაჯერებელია ის, რომ ახალშენთა მინისტრმა ჩემბერლენმა თავისი ერთგული თანაშემწე მილნერი დაივიწყოს, რადგანაც ერთი შესანიშნავი თვისება აქვს, ვინც ერთგულად ემსახურება, მას მუდამა და ყოველს შემთხვევაში ჰმფარველობს. როგორც გარემოება გვიჩვენებს, სამხრეთ აფრიკაში დღეს საქმე ისე გამწვავებულა, რომ ახალშენთა მინისტრს საჭიროდ უცნია მილნერს პირადად მოელაპარაკოს და რჩევა მისცეს.

როგორც ლაპარაკობენ, საქმეში პირდაპირ სალისბიური ჩარეულა და იმას გამოუწვევვინებია მილნერი.

სამხრეთ აფრიკის ომის შესახებ ლორდის რობერტსის მიერ დღეს გამოქვეყნებულმა ანგარიშმა ყველას ყურადღება იმ გარემოებას მიაქცია, რომ გენერლის რედვერდ ბულლერის შესახებ ნათქვამია: „ჰხელმძღვანელობდა უძნელესს საქმეს, რომელსაც შედეგათ ლედისმიტის განთავისუფლება მოჰყვა". როგორც ეტყობა, ბულლერისათვის მისი დამოუკიდებელი ხასიათი ჯერ კიდევ ვერ უპატიებიათ და დიდ დანაშაულათ უთვლიან იმას, რომ იგი არ დასთანხმდა და სამხედრო დეპეშების ინგლისში გადასხვაფერებით გზავნაზედ უარი განაცხადა. ყოველს შემთხვევაში ბულლერი ერთად-ერთი ინგლისელი გენერალი იყო, რომელსაც მტერთან პირდაპირი ნამდვილი ბრძოლა ჰქონდა და რომლის წყალობითაც ჯარის-კაცნი საჭმლისა და ჩასაცმელ-დასახურში ნაკლულოვანებას არა ჰგრძნობდნენ და სხ. რობერტსის ანგარიში, ეჭვი არ არის, სამართლეს მოკლებულია, მაგრამ სამაგიეროდ ინგლისის საზოგადოებრივი აზრი მით უფრო მეტის თანაგრძნობით მოეპყრობა ბულლერსა".

დააკვირდი

იმას სიტყვისა არ შეეშინდება, ვინც არ შეჰშინებია საქმეს.

სოფოკლი

* * *

ყველა იგი ნოყიერი არ არის, რაც გემრიელია.

მონტენი

* * *

სხვისა ცოდვებს რკინაზე ვაჭრევთ და კარგს საქმეს-კი წყალზე ვხაზავთ.

შექსპირი

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები.

როგორც „The Orien. Advert."-ი გადმოგვცემს, 1891 წლიდგან ინდოეთში სიმშილისა და სხვა-და-სხვა გადამდებ სენისაგან მცხოვრებთა რიცხვი ძალიან შემცირებულა. რაჯპუტანი 2,250,000 სული მცხოვრებით შემცირდა, შუაგულში მდებარე ოლქები—2,980,000, ბომბეის ოლქი—1,120,000, ჩრდილოეთ-დასავლეთი ოლქები—1,750,000, სამხრეთისა—464,000 და დასასრულ თვით ქალაქი ბომბეი—289,000. ამ ციფირებით დიდად შეშფოთებულმა ინდოეთის ვიცე-კოროლმა კერზონმა გადასწყვიტა მიიღოს საჭირო ღონისძიებანი სარწყავ არხების გასაყვანად და მცხოვრებთა ჰიგიენურ პირობათა გასაუმჯობესებლად.

* * *

ერთ გაზეთს შეუკრებია ცნობები იმის შესახებ, თუ მეფეთა და სხვა დიდთა ამა ქვეყნისათა ყოველ დღე რამდენი წერილი მოსდით, გაზეთის სიტყვით, პირველი ადგილი ამ შემთხვევაში რომის პაპის უჭირავს, რომელსაც ყოველ დღე 20—22 ათასი წერილი მოდის. პაპი მხოლოდ რამდენსამე წერილს კითხულობს, დანარჩენი კანცელარიაში იგზავნება, სადაც ამ საქმეს (წერილების გახსნასა და წაკითხვას) 35 მოხელე უნდება. მაკ-კინლეის ყოველ დღე მოსდის: 1,400 წერილი და 3—4 ათასი გაზეთი; ინგლისის მეფეს—1,000 წერილი და 2—3 ათასი გაზეთი; იტალიის მეფეს—500 წერილი; ხოლო ჰოლანდიის დედოფალი ყოველ დღე კითხულობს 100-დგან 150 წერილამდე.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 აპრილი

პეტერბურგი. 13 აპრილს ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესად თანადასწრებით მიხეილის მანეჟში გრენადერთა ლეიბ-გვარდიის რაზმისა და ლეიბ-გვარდიის ურალის ყაზახთა ასეულის სარაზმო დღესასწაულისა გამო საეკკლესიო პარადი იქმნა გარდახდილი.

13 აპრილს ხელმწიფე იმპერატორმა და ხელმწიფე მემკვიდრემ საფრანგეთის მხატვრის ჟერვეკსის სურათის „იმპერატორის ნიკოლოოზ II გვირგვინის კურთხევა მოსკოვის მიძინების ტაძარში" გამოფენა ინახულეს.

ქელნი. „Kölnische Zeitung"-ს სწერენ პეტერბურგიდგან, რომ სპარსეთის შაჰის ჯანმრთელობას ხელ-ახლად უარესობა დასტყობია: ღვიძლი და თირკმლები ახლა უფრო ცუდადა აქვს და ქოშინმაც უმატაო. დიდს ვეზირს ასგარ ხანსა და მეფის საყვარელ ხაკიმ-ულ-მულკს შორის ბრძოლა არ შეწყვეტილა. საცხოვრებლად უსაჭიროესს საგნებს მთავრობამ დიდი გარდასახადი შეაწერა; ამის გამო თეირანის მცხოვრებნი აღელვებულნი არიან; მცხოვრებლები ყველაზედ მეტად ხორცზედ შეწერილ დიდი გარდასახადით არიან უკმაყოფილონი და ამას სავსებით ბელგიელ ხარჯის ამკრებთ ამიზეზებენ.

მაინის ფრანკფურტი. როგორც იუწყებიან, გრიზჰეიმში დილით 80 კაცის გვამი უნახავთ; ფიქრობენ, ნანგრევებს ქვეშ კიდევ უნდა იყვნენ დახოცილნიო.

ბუქარესტი. „რუმინიის სააგენტო" იუწყება, რომ ინგლისსა და ამერიკაში გავრცელებული ხმები რუმინიის მეფის მოკვლის განზრახვის შესახებ სრულიად უსაფუძვლოა და აიხსნება იმითი, რომ ვილაცა კაცი, რომელიც შემდეგ ჰკუიდგან შეშლილათ იქმნა ცნობილი და საგიჟეთში ჩასვეს, თურმე სასახლის ქვეითა სართულის ფანჯრებს ქვებს ესროდა.

ლონდონი. ჩემბერლენმა განაცხადა: „სრულიად ტყუილია „Daily Mail"-ის მიერ გუშინ გავრცელებული ამბავი, ვითომ ჩემსა და გიკსბიჩს შორის განხეთქილება მომხდარიყოსო".

ლონდონი. კიტჩენერი იუწყება პრეტორიიდგან: „ჩემის ბოლონდელ დეპეშის შემდეგ ეს ცნობები მივიღე: ტყვეთ წაუყვანიათ 113 ბური, თავისით დაჰმორჩილებია 10 კაცი; დავლათ დაჰრჩენიათ: 138 თოფი, 98 ცხენი, ერთი 12 გირვანქიანი ზარბაზანი და 15,000 სროლა ტყვია-წამალი; 12 ბური მოუკლავთ; გელვეციის მახლობლად წაურთმევიათ 4,7 სანტიმეტრიანი ზარბაზანი, რომელიც იქვე გაუუვარგისებიათ და აგრეთვე მაქსიმის სისტემის ერთი ზარბაზანი; ესეც უვარგის უქმნიათ გარდა ამისა მრავალი ურემი და საქონელი წამოუღიათ და წამოუყვანიათ. ინგლისელებისათვის მოუკლავთ ერთი ჯარის-კაცი და სუბუქად დაუჭრიათ ერთი პორუჩიკი და 7 ჯარის-კაცი".

პეკინი. ჩინეთის გაწყობილმა ჯარმა, რომელმაც უკან დაიხია, ხელ-ახლად სხვა ადგილას თავი იჩინა. ჩინეთის რწმუნებულმა საბოლოოდ ითხოვა, რომ ჯარები იქმნენ გაყვანილნი. გენერალი ბალიუ ჯერ კიდევ იცდის, რადგანაც ბრძანება აქვს მიღებული იმ დრომდე არა გარდასწყვიტოს-რა, სანამდის არ შეიტყობს იმპერატორის ბრძანებანი რა მოქმედებას იქონიებენ.

შანხაი. ჩინეთის შემოსავალ-გასავლის შესახებ დაწვრილებითი ცნობები იქმნა გამოქვეყნებული; როგორც ამ ცნობებიდგანა სჩანს, საშუალო რიცხვით ჩინეთს წელიწადში 88,000,000 ტაელი შემოსავალი ჰქონია, ხოლო გასავალი 101,000,000 ტაელი. მაშასადამე, წელიწადში 13,000,000 დეფიციტი.

ლონდონი. როოს სენეკალიდგან ატყობინებენ „Times"-ს, რომ უკანასკნელ დრომდის შალკ ბურგერისა და ბურების მთავრობის რეზიდენციათ ყოფილი როოს-სენეკალი გუშინ პოლკოვნიკს პულტენეს დაუჭერია. ლანდროსი და მასთან ერთად 50 კაცი დაუყოვნებლივ დაჰმორჩილდნენო; 50 ბური კიდევ შემდეგ დაჰმორჩილდათო.

პეკინი. ელჩების მიერ მოთხოვნილმა საზღაურმა უკვე 65,000,000 გირვანქა სტერლინგს გადააჭარბა; იტალია 2,800,000 გირვანქის საზღაურსა თხოულობს და 1901 წლის 1-ლ მაისიდგან კიდევ ყოველ თვე 100,000 გირვანქას სხვას; თხოულობს აგრეთვე 100,000 გირვანქას იმ შემთხვევაში, თუ რომ ჯარებს მომავალ ზამთრამდე არ გაიყვანენ და 1,140,000 კიდევ კერძო კაცთა ზარალის დასაფარავად.

მაინის ფრანკფურტი. ღამის 3 საათზედ ხელ-ახლად მოხდა აფეთქება; დედაკაცები და ბავშვები შეშინებულნი ეცნენ ქუჩასა. 500,000 ლიტრიანი აუზები ბენზინისა ჯერ არ აფეთქებულა, მაგრამ მუდმივი შიში აფეთქებისა ხელს უშლის ცეცხლი ჩააქრონ და დახოცილები ამოიღონ. რამდენია დაღუპული, ჯერ არავინ იცის. ჰაერის შეძვრისა გამო რამდენიმე ბავშვი წყალში ჩავარდა და დაიხრჩო. მცხოვრებთა უმეტესობა შეშინებული ფრანკფურტს მიაწყდა.

პეტერბურგი. 12 აპრილს შინაგან საქმეთა მინისტრს საუზმე ჰქონდა გამართული; საფრანგეთის მინისტრის დელკასესს პატივსაცემლად საფრანგეთის საელჩოში მეორედ იქმნა წვეული სადილი გამართული.

14 აპრილი

პეტერბურგი. 24 აპრილს მარსის მინდორზედ პეტერბურგში უმაღლესის თანადასწრებით ჯარების დათვალიერება მოხდება.

ბერლინი. ვალდერზეე იუწყება პეკინიდგან, რომ პეიტანის ვოკზლიდგან 15 კილომეტრის მანძილზედ ჩრდილოეთით და შანხაიგუანიდგან დასავლეთით პენჯაბის ქვეითა რაზმის როტას ყაჩაღთა ძლიერ ბრბოსთან შეტაკება მოუხდაო; ბრიტანიისა და იაპონიის ჯარს, რომლებსაც ზუავთა მთელი როტა შეუერთდა, მისაშველებლად წავიდნენ, დაიდუინთან, ფუნინიდგან ჩრდილოეთით ყაჩაღთა ბრბოს თავს დაესხნენ, და კედელს იქით განდევნეს. რაზმში ცხრა კაცი იქმნა მოკლულიო.

ვენა. დეპუტატთა პალატა. საბჭოს პრეზიდენტმა კერბერმა სხდომის დასასრულ აუწერა პალატას პროექტი არხის გაყვანისა და სთქვა, რომ ამითი ავსტრიას ერთი ფრიად დიდი საქმე უკეთდებაო. დღემდის მხოლოდ ერთი არხი ჰქონდა, ამიერიდგან-კი განზრახვა აქვს რამდენიმე არხი გაიყვანოს, რომლებსაც 750 მილიონი კრონი დასჭირდება. მინისტრ პრეზიდენტმა უჩვენა, თუ მრეწველობისა და ნაწარმოების გარეთ გადატანისათვის არხებს რა მნიშვნელობა აქვთ და იმედი გამოთქვა, რომ მცირე ტარიფი მიწათმოქმედებასა და მრეწველობას მაღლა ასწევენ, განსაკუთრებით-კი შაქრისა და საფეიქრო წარმოებასა და ამით ავსტრიას საშუალება მიეცემა გარეთ გატანილი საქონლით უცხოეთის ვაჭრობას მეტოქეობა გაუწიოს. მინისტრს იმედი აქვს აგრეთვე, რომ ამ საშუალებით თვითონ შინაური მშვიდობიანობაც ბევრს მოიგებს, რადგანაც უკვე მრავალი ნიშანია იმისი, რომ მცხოვრებნი მთავრობის მეცადინეობას ამ მხრივ თანაგრძნობით ეგებებიან. (ტაშის ცემაა).

ვაშინგტონი. პეკინში მყოფი ამერიკის საელჩოს უფროსი მდივანი დეპეშით იუწყება, რომ ქვრივს იმპერატრიცას სახელმწიფო საქმეთა მთავარი სამმართველო დაუარსებია, რათა თავისს მოღვაწეობას იგი ალოვ შეუდგეს. ვაშინგტონში ამ დაწესებულების დაარსებას იმის ნიშნადა სთვლიან, რომ იმპერატრიცას ვითომ განზრახვა ჰქონდეს თავისნება განსაზღვრულ უფლებაზედ უარი სთქვას; ფიქრობენ აგრეთვე, რომ ეს სამმართველო უცხო ელჩებს ჩინეთის მთავრობასთან მოლაპარაკებას გაუადვილებს.

პეკინი. კაიპინთან, ტაკუსა და შანხაიგუანს შუა, ინგლისელებმა 16 ზარბაზანი და 67 ფურგუნი სამხედრო სამზადისი წაიღეს. ჩინელებმა ინდოეთის ჯარის უფროსს ოფიცერს ორი ურემი ვერცხლი თურმე აძლიეს, რომ ზარბაზნები არ წაერთმია და ამის შესახებ თავისის უფროსისათვის არა ეთქვა-რა.

წარსულს ღამეს აქ აფიშები იყო გაკრული, რომლითაც მამულის მოყვარე ჩინელები 2 მაისისათვის აჯანყებლად იწვევდნენ ყველას, რომ უცხოელები გაედევნათ.

* * *

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 16 აპრილს, შუადღის 12 საათზედ გამგეობის თანადასწრებით მოხდება

საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაიცემა ბეტონის წყლის სადენ მილის გამართვის საქმე. მილი უნდა გაიმართოს მილიუტინის ქუჩაზედ დოლონსკის სახლის ალაყაფის კარებიდგან რუქსის სახლამდე ანდრეევის ქუჩაზედ. სამუშაო სულ 4000 მანეთისა.

მსურველთ პირობანი შეუძლიანთ გაისინჯონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეს გარდა, 9-დგან 3 საათამდე.

(3—6.—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 14-го Апрѣля 1901 г.

სტამბა მ. შარაძის და ამ

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.